საქონლის/მომსახურების შესყიდვის ტენდერი

სს „საქართველოს ბანკი“ აცხადებს ტენდერს საფულე ჩეკის წიგნაკების შესყიდვაზე

პრეტენდენტის დასახელება: _____

#	**დასახელება**	**ერთეულის ფასი ლარში**
1	საფულე ჩეკი	

<u>**შენიშვნა:**</u>
*** ცხრილში ფასები უნდა მიეთითოს ეროვნულ ვალუტაში - ლარი;**
*** შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის ჩათვლით**

ტენდერში მონაწილეობის პირობები:

- თანხის გადახდის პირობა - შეთანახმების საფუძველზე;
- გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმდება ნასყიდობის ხელშეკრულება 6 თვის ვადით.
- ტენდერში მონაწილე კომპანიებმა ტენდერის დასრულებამდე უნდა მიაწოდოს ბანკს ნიმუშები სს „საქართველოს ბანკის“ სათაო ოფისის (ქ. თბილისი, გაგარინის 29ა) ვლადიმერ სიჭინავას სახელზე.
- ყოველთვიური მინიმალური შეკვეთის რაოდენობა განისაზღვრება 1000 ერთეულით;
- მოწოდების ვადა - მოთხოვნიდან 10 სამუშაო დღე.
- საფულე ჩეკის წიგნაკის დეტალური სპეციფიკაცია:

    - ექსკლუზიური ნუმერაცია;
    - სხვადასხვა სახის დამცავი ბადე (გარდამავალი ორნამენტებით)
    - ექსკლუზიური ბადე, რომელზედაც რელიეფის ეფექტით გამოსახულია ბანკის ლოგოტიპი;
    - ფონი წარმოადგენს მიკროშრიფტისაგან შემდგარ ხაზებს, სადაც იკითხება: საქართველოს ბანკი;
    - ფონზე გამოყენებული ელემენტები უნდა შესრულდეს უხილავი საღებავით, რომლებიც ანათებს ულტრაიისფერი დასხივებისას;
    - საკონტროლო ნიშანი, რომელზედაც სპეციალური ფირის დადებისას იკითხება კონკრეტული ბანკის ლოგოტიპი ან აბრევიატურა;
    - ექსკლუზიური ქაღალდი წყლის ნიშნით 100 10 გრ/მ ;
    - ექსკლუზიური ქაღალდი ხილული ფიბრით;
    - ექსკლუზიური ქაღალდი უხილავი ფიბრით.
    - იხ. სურათი:



წარმოსადგენი დოკუმენტაცია

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- დეტალური შეთავაზება: სატენდერო წინადადების ფასი, მოწოდების ვადები და ა.შ;
- წარმოდგენილ უნდა იქნას სათანადო საინფორმაციო მასალები, აღწერილობა, ბროშურები, ხარისხის სერთიფიკატები და სხვა;

სხვა პირობები

- ტენდერის ვადა განისაზღვრება 2018 წლის 25 იანვრიდან 2018 წლის 1 თებერვლის ჩათვლით;
- ტენდერში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია მომწოდებელმა გაიაროს რეგისტრაცია შემდეგ მისამართზე www.tenders.bog.ge ;
- აირჩიოს ტენდერი და შემოთავაზებული ფასი მიუთითოს შესაბამის გრაფებში: პუნქტი №1-ის გასწვრივ (ფასები უნდა მიეთითოს მეასედებით: 0,05; 0,35 და ა.შ);
- პრეტენდენტის მიერ ასატვირთი ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია დამოწმებული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით;
- შემოთავაზებები მომწოდებლისათვის გახდება ანონიმური ტენდერის დასრულებამდე 3 საათით ადრე.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირისაგან: 599 740041 ლადო სიჭინავა